Norwegian Ministry of Foreign Affairs

GCSD

ერთობლივი ინიციატივა რადიკალიზაციის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ

პროექტის შესახებ

პროექტი მიზნად ისახავს, თბილისის, შიდა ქართლის, აჭარისა და გურიის რეგიონის თემში, ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციის ხელშეწყობას - ორი მთავარი საგანმანათლებლო ისტიტუტის, სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საშუალებით.

სამიზნე ჯგუფები:

- 50 სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- 2000 - მდე მოსწავლე
- 50 სტუდენტი

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი აქტივობები:

სასწავლო რესურსების შემუშავება

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ტრენინგ მოდული, საკითხავი მასალით. სასწავლო რესურსებში თავმოყრილი იქნება, როგორც თეორიული ინფორმაცია რადიკალიზმის, მისი გამომწვევი ფაქტორების, გადალახვის სტრატეგიებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით.

ტრენინგი საოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის

თბილისში, შიდა ქართლსა და აჭარაში სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის, ორ ეტაპად დაყოფილი, 4 დღიანი ტრეინინგ კურსი ჩატარდება, რადიკალიზმის და პროექტთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. ტრენინგებს რეგიონში შერჩეული ლექტორები ჩაატარებენ.

გაკვეთილები სკოლის მოსწავლეებისთვის

50 გადამზადებული სამოქალაქო განათლების პედაგოგი, თავიანთ მოსწავლეებს ჩაუტარებს გაკვეთილებს, რადიკალიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების საკითხებში მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ტრენინგ კურსი სტუდენტებისთვის

ტრეინინგ კურსში მონაწილეობას მიიღებს 50 სტუდენტი პროექტის სამიზნე რეგიონებიდან. ტუდენტები გაიზრდიან ცნობიერებას რადიკალიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის რევენციის მეთოდების შესახებ, ასევე განივითარებენ ადვოკატირების, სათემო აქტივიზმის, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების უნარებს.

პროექტების ინიციატივები

გადამზადების შემდეგ თითოეული სტუდენტი, მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ მიმართულ პროექტებს/ ინიციატივებს. სულ განხორციელდება 50 ასეთი აქტივობა.

პროექტის შეჯამება

პროექტში მონაწილე თითოეულ სკოლაში ჩატარდება შედეგების პრეზენტაცია, სადაც მოწვეული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. ასევე, დაგეგმილია მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება უნივერსიტეტებშიც.

პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართება თბილისში, სადაც პროექტში მონაწილე მასწავლებლები, ლექტორები და სტუდენტები ოთხივე რეგიონიდან გააკეთებენ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების პრეზენტაციასა და შედეგების შეჯამებას.

პროექტი, მომდევნო ერთი წლის მანძილზე, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება, „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების განვითარების პროექტის“ ფარგლებში.